ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 120

ს. წეროვანი 14 სექტემბერი, 2011 წელი

ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო, მისი თავმჯდომარის მოვალეობის სემსრულებელს გია ჩიტიშვილის სახით (შემდგომში „ დამკვეთი “) და მეორეს მხრივ ინდ. მეწარმე გიორგი ფსუტურის სახით, შემდგომში („შემსრულებელი “)
ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხობის ხალხური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე ანსამბლ „ლომისი"-ს და მონაწილეების ტრანსპორტირება.

2. მხარეთა ვალდებულებები

2.1. „შემსრულებელი “ ვალდებულია მოთხოვნის შესაბამისად „დამკვეთს" მოემსახუროს.
2.2. „დამკვეთი" ვალდებულია შემსრულებელს დროულად აუნაზღაუროს მომსახურეობის თანხა უნაღდო ანგარიშსწორებით.

3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. „შემსრულებელი" ვალდებულია დანიშნულ დროს სამგზავრო ტრანსპორტი იქონიოს ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში. ქონდეს სათადარიგო და სამედიცინო აღჭურვილობა და ჰყავდეს სათადარიგო მძღოლი.
3.2. „დამკვეთი" ვალდებულია დაიცვას შეთანხმებული სამარშრუტე გრაფიკი და უზრუნველყოს სათადარიგო წესრიგი მგზავრობისას.

4. ანაზღაურება

4.1. „დამკვეთი " იღებს ვალდებულებას „შემსრულებელს" აუნაზღაუროს დაკვეთილი მომსახურების ღირებულება 1000-00 ლარი.(ერთი ათასი ლარი და 00 თეთრი) უნაღდო ანგარიშსწორებით.
4.2. „შემსრულებელი" იღებს ვალდებულებას მიღებულ თანხებზე ანგარიშსწორება მოახდინოს საგადასახადო დადგენილი წესით.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა მხარეთა ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 14 სექტემბრიდან 2011 წლის 23 სექტემბრამდე.
5.2. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ხელშეკრულების შეცვლა რაზედაც

ნებისმიერი წინადადება მეორე მხრისადმი წერილობითი სახით უნდა იყოს წარმოდგენილი ცვლილებების შეტანამდე.

5.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად ქართულ ენაზე, ამასთან ორივეს ერთნაირი იურიდიული ძალა აქვს.

6. უთანხმოების გადაჭრა

6.1. ყველანაირი დავა და აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეული მოცემული ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით ექვემდებარება საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტას.

7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაქვემდებარე შეუსრულებლობისგან ფორს-მაჟორული გარემოებით, იგულისხმება ომი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, მეტეოპირობები, მთავრობის განკარგულება და სხვა.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა

„დამკვეთი"	*„შემსრულებელი"*
ახალგორის მუნიციპალიტეტის საკრებულო	ინდივიდუალური
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე:	მეწარმე:
გ. ჩიტიშვილი	გ. ფსუტური
----------	----------
ს/კ 223238217	ს/კ 123237559
ს/ს GE84LB0120169513420000	ა/ა 36020110